გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გეომედი ლაიფი Geomedi Life

№4 (5) 2021 წელი

უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი

სპეციალური გამოშვება

ძვირფასო სტუდენტებო!

უნივერსიტეტ გეომედის პროფესორ-მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის და პირადად ჩემი სახელით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს გისურვებთ წარმატებებს სწავლაში, პირად ცხოვრებასა და მომავალ პროფესიულ საქმიანობაში.

უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მარინა ფირცხალავა

შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის სტომატოლოგიის ფაკულტეტი დიდი სიყვარულით ულოცავს დამდეგ 2022 წელს ჩვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, საუნივერსიტეტო კლინიკებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს, რეზიდენტებს. თითოეულ თქვენთაგანს გისურვებთ სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას, წარმატებას და წინსვლას პირად და პროფესიულ საქმიანობაში.

2020 - 2021 სასწავლო წელი რთული და დატვირთული აღმოჩნდა ჩვენი ფაკულტეტისთვის. პანდემიამ შეცვალა მსოფლიო, შეცვალა თითოეული ჩვენგანის ცხოვრების სტილიც, რაც მკვეთრად აისახა უნივერსიტეტის საქმიანობასა და სტუდენტურ ცხოვრებაზე. როგორც სტუდენტებისთვის, ისე პროფესორ-მასწავლებლებისთვის რთული და დამთრგუნველი აღმოჩნდა დისტანციური სწავლება და ერთმანეთთან კონტაქტის არქონა. ამის ფონზე მაინც ღირსეულად შევძელით გამოწვევებთან გამკლავება, დაძლევა და გამარჯვება. შევძელით ის, რომ შევინარჩუნეთ და გავაუმჯობესეთ სწავლის ხარისხი, შევიტანეთ სიახლეები სასწავლო პროგრამაში, მაქსიმალურ ყურადღებას ვუთმობდით პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას სტუდენტებსა და რეზიდენტებში; პანდემიის და მუდმივი აკრძალვების ფონზე შევძელით აღგვეზარდა და გამოგვეშვა კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგები, რომლებიც წარმატებით შეძლებენ შემდგომ პროფესიულ განვითარებას, შეძლებენ უცნობ და მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებასა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გვჯერა, რომ ურთიერთ სიყვარულით, ურთიერთ თანადგომით, მიზანდასახულობითა და შრომით უფრო მაღალ მწვერვალებს დავიპყრობთ. გისურვებთ, ახალი 2022 უფრო მეტად წარმატებული და საქმიანი ყოფილიყოს!

სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

ხათუნა ტვილდიანი

❄ ❄ ❄ ❄ ❄ ❄ ❄

სასწავლო უნივერსიტეტ გეგეომედის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ჩვენი საზოგადოების თითოეულ წევრს მინდა მივულოცო დამდეგი 2022 წელი…

2021 წელი პანდემიის გამო უმძიმესი აღმოჩნდა არა მარტო მსოფლიოსთვის, არამედ ჩვენი ქვეყნისა და უნივერსიტეტისთვის. მიუხედავად სირთულეებისა, 2021 წელს გეომედში არა ერთი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა, ეს შეეხებოდა როგორც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ასევე სასწავლო პროგრამების დახვეწა-განვითარებას. განხორციელდა მრავალი საინტერესო კვლევითი პროექტი, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ინტერნაციონალიზაციას.

ძვირფასო სტუდენტებო, კოლეგებო, გილოცავთ ახალ 2022 წელს. გისურვებთ ულევ სიხარულს, სიკეთესა და წარმატებას თქვენ და თქვენს ოჯახებს! მშვიდობის, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის, წინსვლის და გაძლიერების წელი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანისთვის და სრულიად საქართველოსთვის!

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ლელა აფციაური

ახალი 2022 წელი სასწავლო უნივერსიტეტ გეომედისათვის ყოფილიყოს დამსახურებული შემოქმედებითი წარმატებების, მასობრივად პირადი ბედნიერების, საქართველოს ეკონომიკის არსებითი გაჯანსაღებისა და საყოველთაო მშვიდობის რეალურად მომტანი წელი. გწყალობდეთ და გაძლიერებდეთ უფალი.

წრფელი პატივისცემით,

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი

რევაზ ლორთქიფანიძე

უნივერსიტეტ გეომედის სარეაბილიტაციო კლინიკა გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და თითოეულ სტუდენტს, თანამშრომელს, გისურვებთ უფრო მეტად საქმიან, ახალი იდეებითა და შესაძლებლობებით დატვირთულ წელს.

2022 წელი ყოფილიყოს სიყვარულის, სიხარულის, ბედნიერების, წინსვლის და წარმატების წელი თითოეული ჩვენგანისა და სრულიად საქართველოსთვის.

საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის ხელმძღვანელი

ირაკლი შარანგია

ყოველი ახალი წელი უთვალავი შესაძლებლობით მოდის. ყოველი ახალი დღე რაღაც ახალს გვპირდება. დაისახეთ მიზნები ამ ახალი წლისთვის, კონცენტრირდით და არასოდეს დანებდეთ, სანამ არ მიაღწევთ მათ. ჩაეჭიდეთ და აითვისეთ სასიამოვნო მომენტები. გისურვებთ სწავლით და ახლის აღმოჩენებით სავსე წელს. გილოცავთ ახალ წელს!

საერთაშორისო სტუდენტების ადმინისტრაციული ოფისი

ჰარიშ კუმარ

უნივერსიტეტ გეომედის ყველა წევრს, როგორც ცოდნის გადაცემაში მონაწილეს, ისე მის მიმღებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ საინტერესო, წარმატებულ 2022 წელს საუნივერსიტეტო და პირად ცხოვრებაში.

პატივისცემით,

ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

ზურაბ ცეცხლაძე

❄ ❄ ❄ ❄ ❄ ❄

გილოცავთ ყველას ახალ წელს !!! ვიმედოვნებ, რომ ეს წელი მოგიტანთ ბევრ წარმატებას. პანდემიის პირობებში, პირველ რიგში, გისურვებთ იყოთ ჯანმრთელად და უსაფრთხოდ! მტკივე იმედი მაქვს, რომ 2022 წლიდან არსებული ვითარება შეიცვლება. ჩვენ, როგორც ფაკულტეტს, ბევრი კარგი მოგონება გვქონდა ერთად გასული წლის განმავლობაში. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩემი პირველი დღე უნივერსიტეტ გეომედში, რომელიც მიმაჩნია მნიშნელოვან ნაბიჯად ჩემს კარიერაში. მე აღმოვჩნდი პროფესიონალთა და ინტელექტუალთა ჯგუფში, რომელსაც აქვს მოწინავე აკადემიური და სამეცნიერო გამოცდილება. ერთი წელი უცებ გავიდა და ჩვენ ამ დროის განმავლობაში ბევრი გამოწვევა და მიღწევა გვქონდა. პანდემიამ დიდი სირთულე შეუქმნა განათლების სისტემას მთელი მსოფლიოს მასშტაბით და გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანა ყოფილა. მიუხედავად ამისა, აკადემიური ასპექტის გათვლისწინებით, ჩვენ მივაღწიეთ უზარმაზარ გაუმჯობესებას სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების მიმართულებით, რაც შევძელით ჩვენი ფაკულტეტისა და ადმინისტრაციული პერსონალის დაუღალავი შრომით.

დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი წლის დადგომასთან ერთად ახალი გამოწვევები იჩენს თავს. თუმცა, ჩვენი კონცენტრაცია და გუნდური მუშაობა გარდაქმნის ამ გამოწვევებს ჩვენი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის შესაძლებლობებად. ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ, თქვენი ოჯახები და ჩვენი უნივერსიტეტი გეომედი!

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

თორნიკე ხოშტარია

❄ ❄ ❄ ❄ ❄ ❄ ❄

ძვირფასო სტუდენტებო და კოლეგებო!

ახალი წლის დასაწყისი შესაძლოა ძალიან რთული და ახალი გამოწვევებით სავსე იყოს. ეს არის დრო, როცა ჩვენ მადლიერებით ვიხსნებეთ წარსულს და ვსახავთ ახალ იმედებსა და მიზნებს მომავალი დღეებისათვის. რთულ ეპოქაში ვცხოვრობთ. პანდემიამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა როგორი ძვირფასები ვართ ერთმანეთისთვის, როგორ გვენატრება ლაღი, პირბადით დაუფარავი ღიმილი. მე მადლიერი ვარ, რომ უამრავი სირთულის მიუხედავად, ერთად ვართ და მიხარია, რომ მეძლევა შესაძლებლობა მოგილოცოთ ახალი წელი. მადლიერი ვარ, რომ თქვენ ხართ ჩემს ცხოვრებაში.

გილოცავთ მეგობრებო ახალ წელს! ჯანმრთელობას გისურვებთ თქვენ და თქვენს ირგვლივ მყოფებს! წარმატებების, ოცნებების ასრულების, გამარჯვების წელი გვქონოდეს! მრავალ ახალ წელს!

მედიცინის ფაკულტეტი დეკანი, ასისტენტ პროფესორი

ხათუნა მაკალათია

❄ ❄ ❄ ❄ ❄ ❄ ❄

სტომატოლოგიური სფერო ჯანმრთელ და ბედნიერ ღიმილთან ასოცირდება. უნივერსიტეტ გეომედის სტომატოლოგიურ კლინიკას მრავალწლიანი ისტორია აქვს. ამ ისტორიის პარალელურად ჩვენი კლინიკის სამედიცინო პერსონალს უკავშირდება მრავალრიცხოვან პაციენტთა ბედნიერი და თავდაჯერებული ღიმილი. დაუღალავი შრომისა და უანგარო ენთუზიაზმის წყალობით საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა ყოველთვის ღირსეულად იმარჯვებს დაავადებებთან ბრძოლაში და სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით. უნივერსიტეტ გეომედს დიდი წვლილი აქვს ჩვენი კლინიკის განვითარებისა და წინსვლის საქმეში. ყოველ წელს ვგრძნობთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერას თითოეულ მნიშვნელოვან მომენტში.

საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის ყველა თანამშრომლის სახელით გილოცავთ ახალ წელს. უნივერსიტეტ გეომედს ვუსურვებთ მრავალ ნათელ და მზიან დღეს, ბედნიერი სახეებით გაღიმებულ სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს.

ახალი წელი ყოფილიყოს კიდევ მეტი წარმატებისა და წინსლვის მომტანი თითოეული ჩვენგანისთვის. გისურვებთ ჯანმრთელ და ბედნიერ ღიმილს.

დიდი სიყვარულით,

საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის მთავარი ექიმი

გიორგი მოდებაძე

❄ ❄ ❄ ❄ ❄ ❄ ❄



ძვირფასო მეგობრებო! გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას! მშვიდობის, სიკეთისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს 2022 წელი.

მოხარული ვარ, რომ პანდემიის მიუხედავად, პროფესორ მარინა ფირცხალავას ხელმძღვანელობით უნივერსიტეტი მდგრად განვითარებას განაგრძობს. სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით გასულ წელს გაიმართა უამრავი ღონისძიება, რომელიც ემსახურებოდა ქართველ და სხვადასხვა ეროვნების სტუდენტთა შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას, სტუდენტური პროექტების და ნოვატორული ინიციატივების ხელშეწყობას, სტუდენტთა შორის სპორტული და კულტმასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლას, სტუდენტების საქველმოქმედო, სამეცნიერო, შემეცნებით, კულტურულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას, სტუდენტთა დასაქმებისა და განვითარების მიზნით კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების ჩატარებას. და ა.შ.

გილოცავთ შობა-ახალ წელს! გისურვებთ ულევ სიხარულს, სიკეთესა და წარმატებებს თქვენ და თქვენს ოჯახებს! მშვიდობის, კეთილდღეობის, წინსვლის და გაძლიერების წელი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანისთვის, ჩვენი საამაყო უნივერსიტეტისთვისა და სრულიად საქართველოსთვის!

სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

მერაბ მერაბიშვილი

უნივერსიტეტმა გეომედმა, თქვენმა ,,ალმა-მატერმა" 2021 წელს საკმაო ძალისხმევა გასწია განვითარების გზაზე და მეტსაც გვპირდება მომავალ წელს. ძვირფასო სტუდენტებო, პროფესორ-მასწავლებლებო, ადმინისტრაციის თანამშრომლებო! გილოცავთ ახალ წელს! ახლებურად შედგომოდეთ ახალი წლის ამოცანების წარმატებით შესრულებას, სიყვარულის გზით გევლოთ. ბევრი სიყვარული გაგეცეთ და დაგეგროვებინოთ. გისურვებთ წარმატებულ ცხოვრებას პირადად და გეომედთან ერთად.

პატივისცემით, პროფესორი

გურამ ამყოლაძე